



რეგისტრაციის N 58/36

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

ეგზ N1

“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

თორნიკე შერმადინი

„15“ „12“ 2017 წელი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში *58/36*

თბილისი

2017

სარჩევი

ტერმინთა განმარტება.....	3
ინფორმაცია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შესახებ	4
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა	5
1.1 უარყოფითი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ	5
1.2 უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები	5
1.2.1 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5
1.2.2 ძირითადი აქტივები.....	6
1.2.3 კონსოლიდაციის პროცესი	7
1.2.4 სხვა მატერიალური მარაგები და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	8
1.2.5 სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	8
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	9
2.1 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	9
2.2 ბუღალტრული და ანალიზური აღრიცხვა	9
2.3 შრომის ანაზღაურება	9
2.4 სახელმწიფო შესყიდვები	10
2.4.1 შესყიდვისას კონკურენციის შემზღუდველი მოთხოვნები.....	10
2.4.2 შესყიდვების არადროული განხორციელება	11
3. ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით....	12
4. აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით	13
ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი)	15
ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება.....	16
ფორმა N3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება	17
ფორმა N4. კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება	18
ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება.....	19

ტერმინთა განმარტება

სამინისტრო - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;

სსდ - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება;

სამინისტროს აპარატი - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს აპარატი;

დეპარტამენტი - სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი;

განათლების ცენტრი - სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი;

საშენი მეურნეობა - სსიპ - ეროვნული საშენი მეურნეობა;

სატყეო სააგენტო - სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო;

დაცული ტერიტორიების სააგენტო - სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო;

გარემოს სააგენტო - სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო;

აღრიცხვის ინსტრუქცია - საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

ინფორმაცია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შესახებ

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მთავარი ამოცანაა საქართველოს გარემოს დაცვის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.

სამინისტროს 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმა (ათას ლარებში):

კოდი	დასახელება	სულ	საბიუჯეტო სახსრები	გრანტი
38 00	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	42,100	35,900	6,200
	მომუშავეთა რიცხოვნობა	2,057	2,057	-
	ხარჯები	33,403	31,863	1,540
	შრომის ანაზღაურება	21,123	20,633	490
	არაფინანსური აქტივების ზრდა	8,697	4,037	4,660

ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება¹ გადანაწილებულია შემდეგნაირად (ათას ლარებში):

საბალანსო ერთეულის დასახელება	41,656	100%
სამინისტროს აპარატი	5,309	13%
სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	10,899	26%
სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო	10,082	24%
სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო	8,460	21%
სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	4,692	11%
სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო	946	2%
სსიპ - ეროვნული საშენი მეურნეობა	732	2%
სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო	536	1%

¹ ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ის მიხედვით: გარდა ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებისა, შემოსავლებმა შეადგინა 29.7 მილიონი ლარი.

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას

1.1 უარყოფითი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს² მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლების აბზაცში აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად არ ასახავს სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

1.2 უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

1.2.1 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სამინისტროს აპარატის და დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულია საგრანტო პროექტის ფარგლებში წარმოშობილი დებიტორული დავალიანებები დონორი ორგანიზაციის (KFW) მიმართ, შესაბამისად, 526,867 ლარის და 2,339,727 ლარის ოდენობით. პროექტი დასრულდა 2014 წელს³ და გეგმით გათვალისწინებული ყველა სამუშაო ჩაბარებულია. გამომდინარე აქედან, აღნიშნული დებიტორული დავალიანების მოთხოვნის უფლება აღარ არსებობს და აღრიცხვის ინსტრუქციის⁴ შესაბამისად, უნდა მომხდარიყო მისი ჩამოწერა.

საშენი მეურნეობისა და სატყეო სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულია, შესაბამისად, 21,772 ლარის და 70,772 ლარის ოდენობის მოთხოვნები, რომლებზეც არ არის იდენტიფიცირებული ანგარიშვალდებული პირები, რაც ინსტრუქციის⁵ შესაბამისად, ექვემდებარება ჩამოწერას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების ნაშთი - 3,031,134 ლარის ოდენობით, ზედმეტად არის წარმოდგენილი.

2 „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება. დანართები 1-დან 12-მდე (იხ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე www.sao.ge).

3 ESTABLISHMENT OF THE JAVAKHETI NATIONAL PARK IN GEORGIA FINAL REPORT

4 27-ე მუხლის 26-ე პუნქტი

5 27-ე მუხლის 22-ე პუნქტი

1.2.2 ძირითადი აქტივები

ქვემოთ მოცემული ოპერაციები, ჯამური თანხით 900,228 ლარი, აღრიცხვის ინსტრუქციის⁶ შეუსაბამოდ, ნაცვლად 2015 წლის საანგარიშგებო პერიოდისა, ასახულია 2016 წლის პერიოდში:

- სამინისტროს აპარატმა გაეროს განვითარების პროგრამას 2015 წელს გადასცა 80,424 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები, რაც ბუღალტრულად აისახა 2016 წელს.
- გარემოს სააგენტოს 2015 წელს უსასყიდლოდ გადაეცა⁷ 81,562 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები, რაც ბუღალტრულად აისახა 2016 წელს.
- სატყეო სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2015 წელს განხორციელებული აქტივების შეფასების შედეგები (აფასება 208,602 ლარი და ჩამოფასება 529,640 ლარი) ასახულია 2016 წელს.

ქვემოთ მოცემული 16,400,870 ლარის ძირითადი აქტივების ნაშთის შესახებ, ვერ მოვიპოვეთ სკეპარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები:

- სამინისტროს ბალანსზე ასახულია შენობა-ნაგებობა ღირებულებით 546,962 ლარი. აღნიშნული ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია სამინისტროს მიერ ვერ იქნა მოწოდებული.
- დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 32,295,062 ლარის ძირითადი აქტივები, საიდანაც 6,768,361 ლარის ძირითადი აქტივების ღირებულების სისწორეზე ვერ მივიღეთ რწმუნება.
- გარემოს სააგენტოს ძირითადი აქტივების ანგარიშზე აღრიცხულია 4,568,736 ლარის ღირებულების ნაპირსამაგრი კედლები, საიდანაც 1,186,776 ლარის ღირებულების აქტივები აფხაზეთის ტერიტორიაზეა, ხოლო 487,775 ლარის ღირებულების აქტივების იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.
- ვერ მოვიპოვეთ რწმუნება გარემოს სააგენტოს ბალანსზე აღრიცხული 2,377,992 ლარის ოდენობის ძირითადი აქტივების ღირებულების სისწორეზე. აღნიშნული აქტივების ნაწილზე დოკუმენტაცია არ იძენება, ნაწილზე არ დასტურდება სარგებლობის უფლება, ნაწილი კი აღარ არსებობს.
- სატყეო სააგენტოს 2016 წლის ბოლოს არ დაუსრულებია ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია. შესაბამისად, ვერ მივიღეთ რწმუნება 5,033,004 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივების არსებობასა და სისრულეზე.

სამინისტროს აპარატს 2016 წელს მუდმივ სარგებლობაში გადაეცა დროებით სარგებლობაში მყოფი 116,994 ლარის აქტივები, რომელთაც 2016 წელს დაერიცხა ცვეთა 79,093 ლარი, თუმცა მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი შეადგენდა 15,540 ლარს.

სამინისტროს აპარატის „ძირითადი აქტივების“ მუხლში ასახულია პროექტის⁸ ფარგლებში გადარიცხული თანადაფინანსების თანხა 293,858 ლარი. გამომდინარე იქიდან, რომ მიმღებ მხარეს წარმოადგენდნენ ამბროლაურისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტები, აღრიცხვის ინსტრუქციის⁹ შესაბამისად, სამინისტროს თანხის გადარიცხვისთანავე ოპერაცია ექვემდებარებოდა ხარჯად აღიარებას.

განათლების ცენტრის 2016 წლის ინვენტარიზაციის შედეგების¹⁰ მიხედვით, ორგანიზაციის ბალანსზე ირიცხება 82,002 ლარის გამოყენებისთვის უვარგისი ძირითადი აქტივები, რომლებიც აღრიცხვის ინსტრუქციის¹¹ მიხედვით, არ აკმაყოფილებენ ძირითად აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

6 მე-9 მუხლის მე-11 პუნქტი

7 ფინეთის პროექტის, ნორვეგიის პროექტის, პოლონეთის პროექტის ფარგლებში უსასყიდლოდ გადმოცემული ძირითადი საშუალებები.

8 სამინისტროსა და ნიდერლანდების ეკონომიკურ საქმეთა სამინისტროს სუბსიდიარ „RVO.NL“-ს თუ მონიშნული ადგილი სახელწოდებაა, მაშინ ბრჭყალება საჭირო შორის „დარიშხნის შემცველი სამთო ნარჩენების მართვა საქართველოში“ - პროექტის დაფინანსების შესახებ (PSOM11/GE/1).

9 მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი

10 2016 წლის 30 დეკემბრის საინვენტარიზაციო ოქმი N1

11 მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის გ ქვეპუნქტი

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში ძირითადი აქტივების საწყისი ნაშთი გაზრდილია 546,567 ლარით, საბოლოო ნაშთი კი - 375,860 ლარით. ფორმა N2-ში „შემოსავლების“ მუხლი გაზრდილია 81,562 ლარით, „ხარჯების“ მუხლი - 143,977 ლარით. ფორმა N4-ში „არასაოპერაციო შემოსავლების“ მუხლი გაზრდილია 208,602 ლარით, ხოლო „არასაოპერაციო ხარჯები“ - 529,640 ლარით. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფორმა N1-ში 16,400,870 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივების ნაშთზე ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები.

1.2.3 კონსოლიდაციის პროცესი

სამინისტროს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ელიმინირებული (გამორიცხული) 1,150,125 ლარის შიდა ჯგუფური ოპერაციები. აღრიცხვის ინსტრუქციის¹² შესაბამისად, ელიმინაციის შეუძლებლობის შემთხვევაში, ეს ფაქტი უნდა იქნეს მითითებული განმარტებით შენიშვნებში, რაც არ განხორციელებულა.

შემოსავალი	ხარჯი	თანხა
სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო	სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო	602,000
სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს აპარატი	221,354
სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს აპარატი	107,027
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი	სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	60,120
სსიპ - ეროვნული საშენი მეურნეობა	სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო	60,000
სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს აპარატი	40,768
სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს აპარატი	20,966
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს აპარატი	სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	6,061
სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს აპარატი	5,174
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს აპარატი	სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	5,062
სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო	სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	4,920
სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო	3,952
სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო	სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	3,056
სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო	2,861
სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო	სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	2,154
სსიპ - ეროვნული საშენი მეურნეობა	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს აპარატი	1,605
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს აპარატი	სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	1,560
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს აპარატი	სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო	1,280
სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს აპარატი	206

12 მე-18 მუხლის 29-ე პუნქტი

1.2.4 სხვა მატერიალური მარაგები და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები

გარემოს სააგენტოსა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებებში ჯამურად ასახულია ექსპლოატაციაში არსებული 694,452 ლარის გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები, ასევე დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 822,176 ლარის ექსპლოატაციაში არსებული მარაგები. აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად¹³, აღნიშნული აქტივები ექვემდებარებოდა ხარჯებად ჩამოწერას.

საშენი მეურნეობის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის გათვალისწინებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი გამოსაყენებლად უვარგისი 57,481 ლარის ღირებულების ნერგები.

სატყეო სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 119,688 ლარის ღირებულების უკანონოდ მოჭრილი და ჩამორთმეული ხე-ტყე, რომლის განკარგვის უფლებაც სატყეო სააგენტოს არ გააჩნია, ვინაიდან არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში მარაგების საბოლოო ნაშთი გაზრდილია 879,657 ლარით, ხოლო გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ნაშთი გაზრდილია 694,452 ლარით, ხოლო ფორმა N1-ში 119,688 ლარის ღირებულების სხვა მატერიალური მარაგების არსებობასა და საკუთრების უფლებაზე, ვერ მივიღეთ რწმუნება.

1.2.5 სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 347,742 ლარის კრედიტორული დავალიანებები, რომელთა მაიდენტიფიცირებელი პირველადი დოკუმენტაცია სააგენტოს არ გააჩნია. შესაბამისად, ვერ მივიღეთ რწმუნება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში 347,742 ლარის კრედიტორული დავალიანებების ნაშთის სიზუსტეზე.

აუდიტს წარვმართავდით უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით - აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე. ჩვენ, უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ვართ სამინისტროსგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

13 44-ე მუხლის 30-ე პუნქტი

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სამინისტროს ბალანზე ირიცხება 719,295 ლარის ოდენობის ისეთი დებიტორული დავალიანებები, რომელთა დაფარვის ალბათობა მცირეა:

- გარემოს სააგენტოს მოთხოვნა შპს - „აიეტი ჯორჯიას“ მიმართ - 573,824 ლარი.
- გარემოს სააგენტოს მოთხოვნა შპს - „ინერტი 2007“-ის მიმართ - 43,380 ლარი.
- საშენი მეურნეობის მოთხოვნა შპს - „მზიური XXI“-ის მიმართ - 51,283 ლარი.
- სატყეო სააგენტოს მოთხოვნა ადგილობრივი გამგეობების მიმართ - 50,808 ლარი.

2.2 ბუღალტრული აღრიცხვა

სამინისტროს აპარატში, დაცული ტერიტორიების სააგენტოში, სატყეო სააგენტოსა და საშენ მეურნეობაში არ გამოიყენება სპეციალიზებული საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა. აღნიშნულ ორგანიზაციებში ბუღალტრული იწარმოება Microsoft Excel-ის გამოყენებით, რაც ზრდის ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების რისკს.

მიღებული განმარტებით, საშენმა მეურნეობამ 2017 წელს უკვე დანერგა ბუღალტრული პროგრამა, ხოლო სამინისტროს აპარატმა 2017 წელს შეიძინა ბუღალტრული პროგრამა, რომელიც 2018 წლის 1 იანვრიდან დაინერგება.

სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტები არ აწარმოებენ ძირითადი აქტივების, მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების სრულყოფილ ანალიზურ აღრიცხვას, რაც ართულებს ბალანსზე რიცხული გარკვეული აქტივების იდენტიფიცირებას და შესაბამისად, მათზე კონტროლს.

2.3 შრომის ანაზღაურება

სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციებში სახელფასო დანამატები გაიცემოდა სხვადასხვა საფუძვლით, თუმცა დანამატის გაცემის შემთხვევაში, ზეგანაკვეთური მუშაობის ან/და განსაკუთრებული სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების შედგენა ორგანიზაციაში არ ხდებოდა.

სამინისტროს სისტემაში თანამშრომლებზე სულ 2016 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეულია 30,718,469 ლარის საკასო ხარჯი, მათ შორის, დანამატი 6,514,701 ლარი, რაც „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული საკასო ხარჯის 21%-ს შეადგენს.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, დანამატის კატეგორია მოიცავს არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა დანამატს, მათ შორის, განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის საზღაურს. დანამატების გაცემის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურების სათანადო გამჭვირვალობას, ვინაიდან ბრძანებები ზოგადია და არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

2016 წლის დანამატები ორგანიზაციების მიხედვით:

ორგანიზაცია	სულ შრომის ანაზღაურება	სულ დანამატი	დანამატის წილი შრომის ანაზღაურებაში
სამინისტროს აპარატი	3,541,158	1,038,110	29%
სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო	9,553,037	1,422,875	15%
სსიპ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	6,028,801	1,228,222	20%
სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო	5,731,662	1,159,072	20%
სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო	4,383,996	1,208,433	28%
სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო	571,467	151,320	26%
სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	459,207	139,149	30%
სსიპ - ეროვნული სამენი მეურნეობა	449,141	167,520	37%
	30,718,469	6,514,701	21%

2.4 სახელმწიფო შესყიდვები

2.4.1 შესყიდვისას კონკურენციის შემზღუდველი მოთხოვნები

2016 წელს განათლების ცენტრმა გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ვიდეოკამერისა და აქსესუარების შესყიდვასთან დაკავშირებით. სატენდერო დოკუმენტაციაში შემსყიდველს დაკონკრეტებული ჰქონდა ვიდეოკამერის ზოგიერთი მახასიათებელი¹⁴. აღნიშნული მახასიათებლები მიესადაგება ვიდეოკამერის კონკრეტულ მოდელს - „პანასონიკი AG-UX90“. ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა კომპანიამ და მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში დაფიქსირებული შესყიდვის თანხა გაუტოლდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას - 9,198 ლარს.

2016 წელს სამინისტროს აპარატმა გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი კომპიუტერული მოწყობილობებისა და აქსესუარების შესყიდვის მიზნით. სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო კონკრეტული ფირმის აქსესუარები: Seagate STSHX-M201TCBM ფირმის გარე მყარე დისკი და Toshiba DT01ACA200 მოდელის მყარი დისკი, რაც შესყიდვის კანონმდებლობის დარღვევას წარმოადგენს¹⁵. ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა, რომელმაც ტენდერში სავარაუდო ღირებულების ტოლი ფასის შეთავაზებით გაიმარჯვა (შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 3,722 ლარს შეადგენდა).

სამენმა მეურნეობამ 2016 წელს გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ავტოცისტერნის შესყიდვაზე. აღნიშნული შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია შეიცავდა კონკურენციის შემზღუდველ მოთხოვნას. კონკრეტულად, სატენდერო ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებული იყო ავტოცისტერნის

14 კერძოდ, ვიდეოკამერა უნდა ყოფილიყო FHD გაფართოებით 50 პროგრესულ კადრზე და 25 პროგრესულ კადრზე, 35.4 მმ - 531.0 მმ: UHD გაფართოებით - 25 პროგრესულ კადრზე, ოპტიკური ზუმი 15X. ეფექტური პიქსელების რაოდენობა 17.78 მეგაპიქსელი: FHD გაფართოებით 50 პროგრესულ კადრზე და 25 პროგრესულ კადრზე. 8.59 მეგაპიქსელი: UHD გაფართოებით 25 პროგრესულ კადრზე.

15 სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N9 ბრძანების მიხედვით, „დაუშვებელია შესყიდვის ობიექტის აღწერილობაში: მითითებულ იქნეს კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, პატენტი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არ არსებობს შესყიდვის ობიექტის ზუსტი აღწერის სხვა საშუალებები. ასეთ შემთხვევებში, შესყიდვის ობიექტის აღწერისას აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი ტერმინები, როგორიცაა „მსგავსი“, „ეკვივალენტური“ და სხვა“ (მე-11 მუხლის მე-7 პუნქტი).

ფერი (მომწვანო). შესყიდვაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა, რომელიც ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა, ღირებულებით 34,825 ლარი.

2.4.2 შესყიდვების არადროული განხორციელება

გარემოს სააგენტომ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით¹⁶, 2016 წლის დეკემბერში შეისყიდა 24,875 ევროს ღირებულების ერთი ერთეული სპეციალიზებული სატვირთო ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალება (FORD TRANZIT 350M). განმარტების მიხედვით, იაპონიის მთავრობის დახმარებით, 2016 წლის სექტემბერში სააგენტოს გადმოეცა თანამედროვე ლაბორატორიული/მობილური აღჭურვილობა, რომელთა ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მათი სპეციალიზებულ მანქანაში განთავსება. თუმცა, გამარტივებული შესყიდვა შეზღუდულ ვადებში განხორციელდა დეკემბერში. სატენდერო პროცედურების დროულად დაწყების შემთხვევაში, აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების შესყიდვა შესაძლებელი იქნებოდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებითაც.

ასევე, გარემოს სააგენტომ 2016 წლის 22 დეკემბერს, საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით, გამარტივებული შესყიდვის გზით შეიძინა 96,800 გირვანქა სტერლინგის ღირებულების მობილური სადგური. აღნიშნული სადგურის შეძენა სააგენტოს 2016 წლის თავდაპირველი შესყიდვების გეგმით არ იყო გათვალისწინებული. 2016 წლის 27 სექტემბერს, შესყიდვების გეგმას დაემატა 360,000 ლარის ოდენობით ავტოსატრანსპორტო საშუალებების ელექტრონული ტენდერის გზით, საკუთარი სახსრებით შესყიდვა. თუმცა, 2016 წლის 22 დეკემბერს შესყიდვების გეგმის დაკორექტირების შედეგად, ელექტრონული ტენდერი ჩაანაცვლა გამარტივებულმა შესყიდვამ. ასევე, დაზუსტდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 334,000 ლარამდე და 22 დეკემბერს გაფორმდა აღნიშნული მობილური სადგურის შესაძენად გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, მობილური სადგურის მიწოდება უნდა განხორციელებულიყო 2017 წლის 30 მარტამდე. შესაბამისად, აღნიშნულ ვადაში მობილური სადგურის შეძენა შესაძლებელი იქნებოდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

¹⁶ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 დეკემბრის N2510 განკარგულების შესაბამისად.

3. ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი - უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამყდევნოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა.

ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებლები არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ს მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას.
- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე.
- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას.
- ვასკვნით, ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის - მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი.
- ვაფასებთ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს. აგრეთვე, უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს.

- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე, ჩვენ სრულიად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.
- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა ხელმოწერა:

სახელი, გვარი

ბესიკ ქოჩიაშვილი -

მთავარი აუდიტორი

გიორგი ხითაიშვილი -

უფროსი აუდიტორი

მარიამ ღირსიაშვილი -

აუდიტორი

ალექსანდრე მღებრიშვილი -

აუდიტორი

ირაკლი ბაჩიაშვილი -

აუდიტორ-ასისტენტი

გიორგი ხადიშვილი -

აუდიტორ-ასისტენტი



სოფიო კობახიძე -

აუდიტორ-ასისტენტი

მაკო ხუცურაული -

(აუდიტორ-სტაჟიორი)

ხელმოწერა



ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი)

აქტივები	31/12/2016	31/12/2015
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფულადი სახსრები	9,659,309	8,830,845
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	370,351	284,007
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	15,309,742	15,473,241
სხვა მატერიალური მარაგები	3,129,096	2,517,798
სულ მოკლევადიანი აქტივები:	28,468,498	27,105,891
გრძელვადიანი აქტივები		
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	-	-
სტრატეგიული მარაგები	-	-
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	1,359,088	1,245,990
ძირითადი აქტივები	68,840,245	59,840,207
ფასეულობები	-	-
არაწარმოებული აქტივები	8,474,854	7,333,631
სულ გრძელვადიანი აქტივები:	78,674,187	68,419,828
სულ აქტივები:	107,142,685	95,525,719
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები		
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	109,712	473,500
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	6,000,319	6,171,150
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები :	6,110,031	6,644,650
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:	-	-
სულ ვალდებულებები:	6,110,031	6,644,650
კაპიტალი		
აქტივების წმინდა ღირებულება	79,944,128	70,222,227
გაუნაწილებელი მოგება	21,088,526	18,658,842
დაუფარავი ზარალი	-	-
სულ კაპიტალი:	101,032,654	88,881,069
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	107,142,685	95,525,719

ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება

დასახელება	ბიუჯეტი	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	2015 წელი
ბიუჯეტიდან დაფინანსება	41,655,684	-	41,655,684	37,607,931
შემოსავლები	8,493,975	21,214,936	29,708,911	23,989,597
გრანტები	8,333,667	723,252	9,056,919	3,312,487
სხვა შემოსავლები	160,308	20,491,684	20,651,992	20,677,110
ქონებასთან დაკავშირებული შემოსავლები	-	2,401,272	2,401,272	2,623,031
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	-	6,471,879	6,471,879	5,636,317
სანქციები, ჯარიმები, საურავები	60,808	17,031	77,839	193,980
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	-	485,079	485,079	1,499,558
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	99,500	11,116,423	11,215,923	10,724,224
სულ:	50,149,659	21,214,936	71,364,595	61,597,528
ხარჯები				
მომუშავეთა ანაზღაურება	20,317,096	10,401,373	30,718,469	28,963,735
საქონელი და მომსახურება	11,062,679	5,643,579	16,706,258	13,209,791
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	6,318,406	945,605	7,264,011	5,951,741
სუბსიდიები	1,535,344	-	1,535,344	69,419
გრანტების ხარჯი	2,033,160	929,042	2,962,202	2,507,173
სოციალური უზრუნველყოფა	210,694	104,176	314,870	247,762
სხვა ხარჯები	495,390	829,540	1,324,930	538,938
სულ:	41,972,769	18,853,315	60,826,084	51,488,559
ფინანსური შედეგი	8,176,890	2,361,621	10,538,511	10,108,969

ფორმა N3: ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება

დასახელება	ბაზინის ერთიანი ანგარიში	არასაბიჯეტო სახსრები	სულ
წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	9,721,901	2,429,684	12,151,585
კორექტირებები:	(1,785,872)	1,728,495	(57,377)
ცვეთა (+)	6,318,406	945,605	7,264,011
აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+)	(8,303,021)	(320,438)	(8,623,459)
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	(494,589)	(116,709)	(611,298)
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (-/+)	(105,691)	(7,407)	(113,098)
დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	934,915	1,269,656	2,204,571
კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	(135,892)	(42,212)	(178,104)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	7,936,029	4,158,179	12,094,208
არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	-	-
არაფინანსური აქტივების შესყიდვა	8,222,582	2,679,374	10,901,956
ძირითადი აქტივები	8,222,582	2,678,574	10,901,156
არაწარმოებული აქტივები	-	800	800
წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან	(8,222,582)	(2,679,374)	(10,901,956)
წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	39,118	(402,906)	(363,788)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	39,118	(402,906)	(363,788)
ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება	(247,435)	1,075,899	828,464
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	1,620,185	7,210,660	8,830,845
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	1,113,348	8,545,961	9,659,309

ფორმა N4. კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

დასახელება	ბიუჯეტი	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
ნაშთი წლის დასაწყისისათვის	70,222,227	18,658,842	88,881,069
არასაოპერაციო შემოსავლები	2,472,675	166,889	2,639,564
კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	-	162	162
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	2,472,675	166,727	2,639,402
არასაოპერაციო ხარჯები	855,831	91,038	946,869
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	-	21,485	21,485
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	855,831	69,553	925,384
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები	71,833	7,788	79,621
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	71,833	7,788	79,621
მოგების გადასახადი	-	-	-
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	8,176,890	2,361,621	10,538,511
ნაშთი წლის ბოლოს	79,944,128	21,088,526	101,032,654

ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება

დასახელება	ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახრა % დაზუსტებულ და დამტკიცებულ გეგმას შორის	ფაქტობრივი (საკასო) ხარჯი	გადახრა % ფაქტობრივ (საკასო) ხარჯსა და დაზუსტებულ გეგმას შორის	დარიცხული ხარჯი	გადახრა დარიცხულ და ფაქტობრივ (საკასო) ხარჯს შორის
ხარჯები	33,403,000	32,711,260	(2.07)%	33,425,907	2.18%	41,972,769	8,546,862
მათ შორის:							
შრომის ანაზღაურება	21,123,000	20,038,900	(5.13)%	20,319,034	1.4%	20,317,096	(1,938)
არაფინანსური აქტივების ზრდა	8,697,000	9,659,293	11.06%	8,223,517	(14.86)%	-	(8,223,517)
ფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების კლება	-	6,463	-	6,462	(0.02)%	-	(6,462)

